ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 02 მაისის მორიგი სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების "-ხელმძღვანელის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

მომხს: მამუკა ჭიპაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის იურიდიული, სამანდატო, ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

5. ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ" ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის სამოქმედო გეგმისა დამტკიცების შესახებ

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 02 მაისის მორიგი სხდომის

ოქმი N 8

2022 წლის 02 მაისი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, პაატა გოგოლაძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინა ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, თორნიკე ავალიშვილი,ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, ბაქარი ბარბაქაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, ირმა ალხაზიშვილი, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კონსტანტინე ბერაძე, ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 30 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

დავით დევდარიანი - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

პეტრე შარიქაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი.

კახაბერ გოლუბიანი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.

ვლადიმერ გელაშვილი -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზ. ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ე. შავიძე - ა(ა)იპ მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრის დირექტორი

ს. გლუნჩაძე -ოპერატორი

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი- ს „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების "-ხელმძღვანელის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

მომხს: მამუკა ჭიპაშვილი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: ოთარი ლურსმანაშვილი

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

5. ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

6. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხს: დავით კიკნაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 30 წევრი

მომხრე 30

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასრტუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ **(თან ერთვის)**

აზრი გამოთქვეს:

ბ. კვირიკაშვილმა - საკრებულოს ეკონიმიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ანგარიში განხილული იქნა კომისიის სხდომაზე,ანგარიშიდანაც ჩანს, რომ სამსახური მუშაობს კარგად და კომისია აყენებს წინადადებას სამსახურის საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

კ. გოგსაძემ, მომხსენებლის მიმართ დასვა შეკითხვა, ვარძიის ცენტრალური გზის რეაბილიტაციასტან დაკავშირებით, ასევე წყალაფორეთში გურეშიძეების უბანში წყლის მიწოდების თაობაზე და ხონში დაზიანებული გზის 20 მეტრიანი მონაკვეთის არდგენის შესახებ

პ. შარიქაძემ, მომხსენებელმა უპასუხა, რომ ვარძიის გზის რეაბილიტაციაზე გამოცხადდა ტენდერი, წყალაფორეთის საკითხით დავინტერესდები და შევისწავლი.

ი. ვეფხვაძემ, საკრებულოს წევრმა მომსხენებელს სთხოვა თეტრაწყაროს ჭენჭეხურის უბნის 1. 5 კმ-იანი გზის შეკეთება გაითვალისწინონ.

ბ. ბარბაქაძემ - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ს თავმჯდომარის მოადგილემ დასვა წინადადება დაბაში ნიორაძისა და კიკნაძის ქუჩების რეაბილიტაციის შესახებ

პ. შარიქაძემ, მომხსენებელმა უპასუხა, რომ მომავალ კვირაშის გამოცხადდება ტენდერი ამ საკითხზე.

დ. კიკნაძემ, საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ ლეღვანში გასაკეთებელია გზის ნაპირები.

პ. შარიქაძემ უპასუხა, რომ ობიექტი ჯერ ჩაბარებული არ არის.

ვ. ოდიკაძემ, აღნიშნა, რომ მარელისში ცისკაძეების უბანში დარჩა 160 მეტრი გზა გასაკეთებელი.

პ. შარიქაძემ უპასუხა, რომ მარელისში ყველა პროექტი დასრულებულია და ეკონომიის ხარჯზე იქნება გათვალისწინებული.

თ. ავალიშვილმა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - ს თავმჯდომარემ ისაუბრა წინა წლებში შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების ხარვეზებზე კერძოს დაბაში რიყის მრავალბინიანი სახლის სახურავის, კინოთეატრის სახურავის , სოფელ თეთრაწყაროში ვეფხვაძეების უბნის წყალმომარაგების. საღანძილეში ოსანაძეების ხიდის და სხვა შესახებ და დააყენა წინადადება ყველა ამ ორიექტების ხარვეზების შესწავლის მიზნით შეიქმნას კომისია, რომელიც დაადგენს გამომწვევ მიზეზება თუ რატომ გახდა რამდენიმე წლის შემდეგ ბინების გადახურვა საჭირო, რატომ ჩამოდის წყალი კინოთეატრში და დავდოთ დასკვნა.

ბ, კვირიკაშვილმა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოსახლეობის განცხადების საფუძველზე სახურავის შესწავლა მოხდა და პროექტის შედგენის დროს გახდება ცნობილი რა არის გასაკეთებელი და მოხდება ამ პრობლემის მოგვარება.

დ.დევდარიანმა მერის მოადგილემ ასევე უპასუხა თ. ავალიშვილს და აღნიშნა, რომ ვეფხვაძეების უბანში წყლის პრობლემა გამოწვეულია წყლის დებატის სიმცირის გამო.

ი. ვეფხვაძემ, რეპლიკის სახით აღნიშნა, რომ ჭაბურღილის გაკეთება იქ იყო ტყუილად გადაყრილი თანხა.

კ. ბერაძემ, ბრაქცია „ხარაგაულისთვის“ თავმჯდომარემ , გამოთქვა სურვილი კარგი იქნებოდა თუ გაითვალისწინებდნენ ხიდსის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩაჩანიძეების, მასხარაშვილების და გლუნჩაძეების უბნების რეაბილიტაციას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს კომისიის თავმჯდომარის ბ. კვირიკაშვილის წინადადება სამსახურის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 30 წევრი

მომხრე - 28

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი-ს „ეთერ კიკნაძის სახელობის სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების “-ხელმძღვანელის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

მ, ხვედელიძემ, საკრებულოს განათლების, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა,რომ საკითხი განიხილეს კომისიის სხდომაზე, მიუხედავად

პანდემიისა ჩავარდნა არ მომხდარა, ბორითის ბაღთან დაკავშირებით არის პრობლემები, ავტობანის მშენებლობასთან დაკავშირებით უსაფრთხოების ზომები არის დასაცავი, სამსახურის საქმიანობა დამაკმაყოფილებელია, იგეგმება გარკვეული ინიციატივები, ველით სიახლეებს და წინადადებით შემოვდივარ აიპის საქმიანობა შეფასდეს დადებითად.

ი. პაქსაშვილმა აღნიშნა, რომ ბორითის ბაღში ბავშვების უსაფრთხოება არ არის დაცული გამონაბოლქვის გამო.

ვ. ოდიკაძემ აღნიშნა, რომ მარელისის მზაობის ჯგუფში არის 18 ბავშვი, მშობლები ითხოვენ, რომ ბავშვები ბაღში იყონ მთელი დღით,

ვ. ჭიპაშვილმა მერის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ ვცდილობთ ახალი ბაღების აშენებას.

დ. ხაჩიძემ დასვა წინადადება ხევის საბავშვო ბაღის პროექტის შესახებ

დ. დევდარიანმა უპასუხა, რომ პროექტი გადაგზავნილია სამხარაულის ბიუროში ექსპერტიზაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა მ. ხვედელიძის წინადადება აისის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 30 წევრი

მომხრე 30

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ო. ლურსმანაშვილის ანგარიში კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ

აზრი გამოთქვეს:

პ. კიკალიშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ კომისია მუშაობს დებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში და მე, როგორც კომისიის ერთი წევრი დადებითად ვაფასებ მის საქმიანობას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს წევრის წინადადება კომისიის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს- წევრი

მომხრე -28

წინააღმდეგი 0

თავი შეიკავა 2

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის ვლადიმერ გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის საპროგნოზო მაჩვენებლების შესრულების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია (თან ერთვის.

აზრი გამოთქვეს:

პ. კიკალიშვილმა საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კიმისიის სხდომაზე და გააკეთა მოკლე მიმოხილვა ბიუჯეტის პირველი კვარტლის შედეგების შესახებ.

თ. ავალიშვიმა ფრაქციის ტავმჯდომარეს კითხვით მიმართა მომხსენებელს შპს „ხარაგაული 2011“ ფაქტიურად აღარ ფუნქციონირებსდა მაინტერესებს რა ხდება ამ საკითხთან დაკავშირებით?

ვ. ჭიპაშვილმა უპასუხა, რომ დაწყებულია ლიკვიდაციის პროცესი.

კ. გოგსაძემ აღნიშნა, რომ საგაზაფხულო სამუშაოები ხვნა ისე გაძვირდა, რომ ჩვენ შპს რომ გვქონდეს მოსახლეობას სერავთიან ფასებში მოვემსახურებოდიტ და ტექნიკის ფასს ერთ წელში ამოვიღებდით, მუნიციპალური ტრანსპორტის აქ გაერთიანდებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი საკითხის ცნობად მიღების თაობაზე.

განკარგულება მიღებული იქნეს ცნობად (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური უფროსის კახა გოლუბიანის ინფორმაცია საკიტხზე - „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 30 წევრი

მომხრე -30

წინააღმდეგი -0

საკრებულომ გადაწყვიტა : დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ტავმჯდომარის პირველი მოადგილის, გენდერული თანასწორობის საბჭოს ტავმჯდომარის დ. კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის).

საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულო 30 წევრი

მომხრე - 27

წინააღმდეგი -0

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**